გიორგი ოთხმეზური (1954 წლის 14 აგვისტო - 2021 წლის 20 იანვარი) – ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი (1981), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1999), პროფესორი. დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი (1976). 1976 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის განყოფილებაში. 1991 წლიდან მოღვაწეობა თსუ-ში ისტორიის ფაკულტეტზე გააგრძელა, სადაც იკავებდა ჯერ დოცენტის, შემდგომ კი პროფესორის თანამდებობას. პარალელურად იყო საქართველოს ისტორიის კათედრასთან არსებული წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი, მოგვიანებით კი მისი ხელმძღვანელი. 2005 წლიდან, გიორგი ოთხმეზური უცვლელად იკავებდა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ს/ს ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის პოზიციას. წლების განმავლობაში კითხულობდა სხვადასხვა კურსებს, მათ შორის: საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი); საქართველოს ისტორია (რუსულ ენაზე); საქართველოს ისტორია XV-XVIII სს; ქართული წყაროთმცოდნეობა; ქართული ეპიგრაფიკა და სხვა. აღსანიშნავია მისი ღვაწლი მომავალი თაობების აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით არაერთმა ახალგაზრდამ დაიცვა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომი. გიორგი ოთხმეზური იკვლევდა შუა საუკუნეებისა და თანამედროვე საქართველოს ისტორიის აქტუალურ საკითხებს, წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის პრობლემატიკას, ქართულ ისტორიულ საბუთებს, ეპიგრაფიკულ ძეგლებს, პოლიტიკურ ისტორიას. იგი იყო არაერთი ნაშრომისა და სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი. მისი გამოკვლევები ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ ენებზე გამოცემულია საქართველოსა და უცხოეთის არაერთ რეიტინგულ სამეცნიერო კრებულსა და პერიოდულ გამოცემაში.

დისერტაციები:

- „XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული დისერტაცია. თბილისი 1981
- „შიდა ქართლის მცირე სათავადოები (XV-XVII საუკუნეები)“. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული დისერტაცია. თბილისი 1999